

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს

საზედამხედველო კომიტეტის

კომპეტენციების სფერო

1. საზედამხედველო კომიტეტის პასუხისმგებლობები

1.1 მიზანი და ამოცანები

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს (ქსს) მნიშვნელოვანი ფუნქციაა - ზედამხედველობა. ქსს ზედამხედველობას უწევს ძირითადი მიმღების საქმიანობის შესრულებას მათ მერ განხორციელებული პროგრამებში დასახული სამიზნეების შესრულების უზრუნველყოფს მიზნით. ქსს ავალდებულებს ძირითად მიმღებს ნგარიშვეალდებული იყოს ქვეყნის ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ. შიდასთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (გლობალური ფონდი) მოთხოვნა 3-ის მიხედვით თითოეულ ქსს-ს უნდა გააჩნდეს საზედამხედველო გეგმა და იგი უნდა ასრულებდეს ამ გეგმას. აღნიშნული გეგმის შესასრულებლად ქსს-მ უნდა ჩამოაყალიბოს საზედამხედველო ორგანო. ეს როლო შეიძლება შეასრულოს საზედამხედველო კომიტეტმა ან შესაძლებელია ქსს-მ დააკისროს საზედამხედველო პასუხისმგებლობები სხვადასხვა კომიტეტებს და ქვე-კომიტეტებს. ინფორმაცია საზედამხედველო კომიტეტის და ქვეკომიტეტის სტრუქტურის შესახებ იხილეთ სექცია 2-ში.

საზედამხედველო კომიტეტი წარმოადგენს ქსს-ს მუდმივმოქმედ კომიტეტს, რომლის მიზანია ქვეყანაში მიმდინარე გლობალური ფონდის გრანტების განხორციელებაზე ზედამხედველობა. კომიტეტის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა აქტოვობა ხორციელდება და რესურსი გამოიყენება საგრანტო ხელშეკრულების თანახმად. ამ მიზნის განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ძირითადი მიმღებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული მიმართულების მიცემა, გლობალური ფონდის პოლიტიკასა და პროცედურებთან თანხვედრა, ფინანსური კონტროლის დაწესება, და ძირითადი რეკომენდაციების მიღვენება.

ქვეყნის საკოორდინაციო საჭოს დისკრეციაშია საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება.

ამ მიზნის შესრულებისათვის, საზედამხედველო კომიტეტის ახორციელებს შემდეგ ამოცანებს:

- ქსს-ს ხუთი ძირითადი ფუნქციებიდან, ერთ-ერთის, ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელების უზრუნველყოფა;
- საზედამხედველო გეგმის, თანმხლების სამუშაო გეგმის და კალენდარის შემუშავების, დროული განახლების და განხორციელების უზრუნველყოფა;

- გრანტის განხორციელების პრობლემების და წინააღმდეგობების გაანალიზება და ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად ქსს-სთვის რეკომენდაციების წარდგენა;
- დროის და არსებული რესურსების სათანადო გამოყენების გზით ზედამხედველობის ეფექტურობის ხელშეწყობა;
- ქსს-ს და ძირითად მიმღებსა და ძირითად მიმღებსა და ქვე-კონტრაქტორებს (ქკ) შორის ურთიერთობების გაუმჯობესება.

მოცემული კომპეტენციების სფეროები აღწერს საზედამხედველო კომიტეტის როლს გრანტის შესრულების გრძელვადიან პერსპექტივაში ზედამხედველობის, მათ შორის მმართველობის და ანგარიშვალდებულების სფეროებში. საზედამხედველო კომიტეტისგან განსხვავებით ძირითადი მიმღების ფოკუსია მონიტორინგი და გრანტის ყოველდღიური მიმდინარეობის შეფასება.

1.2 როლი

საზედამხედველო კომიტეტს ეკისრება წამყვანი როლი საზედამხედველო პროცესში გლობალური ფონდის თანხების მიზნობრივი, დროული და ეფექტური გამოყენების, ძირითადი მიმღებს და ქვეკონტრაქტორების პროგრამული სამუშაო გეგმის დროული და ეფექტური შესრულების, გამჭვირვალე, კონკურენციაზე დაფუძნებული, ეფექტური, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის დაცვით განხორციელებული შესყიდვების და მარაგების მართვის პროცესების უზრუნველყოფაში.

საზედამხედველო კომიტეტი არ არის გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო. კომიტეტის როლი მდგომარეობს ქსს-სთვის ინფორმაციის და ინფორმირებული რეკომენდაციების მიწოდებაში, ქსს-ს მიერ საზედამხედველო ფუნქციების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვისათვის.

1.3 საზედამხედველო მანდატი

ქსს ანიჭებს საზედამხედველო კომიტეტს უფლებამოსილებას შეიმუშავოს, განაახლოს და განახორციელოს საზედამხედველო გეგმა და შესაბამისი ერთწლიანი გეგმა და კალენდარი; ძირითადი მიმღების, ქვე-კონტრაქტორების პრობლემების იდენტიფიცირებისა, და ქსს-სთვის მიმართულების მითითების და რეკომენდაციის გაცემისა. რეკომენდურებული ქმედებების განხორციელებაზე თვალის მიდევნების, და ქსს-ს, ძირითად მიმღებს, ქვე-კონტრაქტორებსა, ქვე-ქვე-კონტრაქტორებს შორის კომუნიკაციის და თანამშრომლობის გაუმჯობესებისა.

2 ქსს-სთან არსებული საზედამხედველო კომიტეტის სტრუქტურა ა

საზედამხედველო კომიტეტის არის ქსს-ს სტრუქტურა, რომელსაც მხარდაჭერას უწევს ქსს-ს სამდივნო.

საზედამხედველო კომიტეტი ახდენს ანგარიშგებას ქსს-ს წინაშე, კვარტალურად, პლენარულ სხდომებზე; აღმასრულებელი კომიტეტი (ქსს-ს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე) ზედამხედველობას უწევს საზედამხედველო კომიტეტს.

საქართველოს ქსს-ს შედგება სამი კომპონენტიდან:

- 1 ქსს-ს გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება 28 წევრისგან და, სადაც არ არიან ალტერნატივები.
 - ა. სამოქალაქო საზოგადოების 12 წევრი
 - ბ. ბილატერალური და მულტილატერალური პარტნიორების 4 წევრი
 - გ. 12 წევრი სამთავრობო სექტორიდან
- 2 აღმასრულებელი კომიტეტი შედგება თავმჯდომარისგან (მისი არჩევა ხდება ქსს-ს წევრების მიერ ოთხწლიანი პერიოდის ვადით) და თავმჯდომარის მოადგილისგან რომელიც ინიშნება თავმჯდომარის მიერ და მტკიცდება გენერალური ასამბლემის მიერ.
- 3 სახედამხედველო კომიტეტი შედგება მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 7 წევრისგან.

2 სახედამხედველო კომიტეტის შემადგენლობა

ა. წევრობა

სახედამხედველო კომიტეტი შედგება 5-იდან 7 წევრამდე. ქსს შეარჩევს კომიტეტის წევრებს თავისი შემადგენლობიდან, თუმცა როდესაც ვერ ხერხდება შესაფერისი კანდიდატის შერჩევა ქსს-დან შესაძლებელია კვალიფიციური კანდიდატების შერჩევა ქსს-ს მიღმა, მათი ქვემოთ მოცემულ სელექციის კრიტერიუმებთან თანხვედრის შემთხვევაში.

თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე არ შეიძლება იყვნენ სახედამხედველო კომიტეტს შემადგენლობაში.

სახედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე შეირჩევა კომიტეტის წევრებიდან ქსს-ს გენერალურ ასამბლემის მიერ.

სახედამხედველო კომიტეტის წევრები წარმოადგენენ შემდეგი წარმომადგენლობების წარმომადგენლებს:

- ბილატერალური და მულტილატერალური პარტნიორი ორგანიზაციები (1 წევრი)
- სამთავრობო სექტორი (2-დან 3 წევრამდე)
- სამოქალაქო საზოგადოება (2-დან 3 წევრამდე)

სამთავრობო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობა უნა იყოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რაოდენობის თანაბარი.

სულ მცირე ერთი აღნიშნულიდან უნდა იყოს დაავადებული პირი ან დაავადების რისკის ქვეშ მყოფი ადამიანი.

საზედმხადველო კომიტეტს წევრები სამთავრობო სექტორიდან არიან ნომინირებული სამთავრობო სექტორის მიერ.

საზედამხედველო კომიტეტის წევრები ბილატერალურ და მულტილატერალური პარტნიორი ორგანიზაციებიდან უნდა იყვნენ ნომინირებული და არჩეული ამ წარმომადგენლობიდან.

სამოქალაქო სექტორიდან საზედამხედველო კომიტეტის წევრები შეირჩევიან (ნომინირდებიან ან აირჩევიან) მათი წარმომადგენლობიდან (12 წევრი). ქსს-ს წევრებს სამოქალაქო სექტორიდან შეუძლიათ წამიყენონ კანდიდატურები ან წარადგინონ საკუთარი თავი კანდიდატურებად.

საზედამხედველო კომიტეტის წევრებში სამოქალაქო სექტორიდან, სულ მცირე ერთი უნდა იყოს ტუბერკულოზის პროგრამული ექსპერტიზის მქონე და ერთი აივ-ის სფეროში შესაბამისი პროგრამული ცოდნის და გამოცდილების მქონე პირი.

ბ. წევრობის ვადა

კომიტეტის წევრები მუშაობენ კომიტეტში მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში. ქსს-ს შეუძლია ხელახლად აირჩიოს ან დანიშნოს საზედამხედველო კომიტეტის წევრები დამატებით ორი წლით. საზედამხედველო კომიტეტის სულ მცირე 30% ექვემდებარება ყოველწლიურ ჩანაცვლებას, ხელახალ დანიშვნად ან არჩევას.

საზედამხედველო კომიტეტის წევრობა წყდება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთი გარემოების დადგომისას:

- საზედამხედველო კომიტეტში მოღვაწეობის მაქსიმალური ვადის ამოწურვა;
- მუდმივმოქმედი ინტერესთა კოფლიქტი: წევრობა წყდება, როდესაც კომიტეტის წევრი ერთვება გრანტის განხორციელებაში;
- ქსს-ს მიერ დამტკიცებული პირადი განცხადება;
- ქსს-ს მიერ განსაზღვრული მოვალეობების არასათანადო შესრულება, მაგალითად ზედიზედ სამი შეხვედრის გაცდენა;
- საზედამხედველო კომიტეტში შემავალი ქსს-ს წევრებისათვის ქსს-ს მიერ განსაზღვრული წევრს მოვალეობის არასათანადოდ შესრულება.

გ. კომპეტენციები

საზედამხედველო კომიტეტის ფუნქციების შესრულებისათვის კომიტეტის წევრებმა უნდა დაუთმონ დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი საზედამხედველო აქტივობებს.

კომიტეტის წევრების მხრიდან უნდა იყოს მზაობა და სურვილი თვეში სულ მცირე ერთი დღე დაუთმოს საზედამხედველო აქტივობების შესრულებას. რეკომენდირებულია საზედამხედველო კომიტეტში ახლად დანიშნულ წევრების მათ სამუშაო აღწერილობას დაემატოს საზედამხედველო კომიტეტის ფუნქციები.

იდეალურ შემთხვევაში წევრებს ჯამურად უნდა გააჩნდეთ უნარები შემდეგ სფეროებში:

- აივ/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამული მენეჯმენტი და სერვისის მიწოდება;
- მონიტორინგი და შეფასება;
- სამიზნე ჯგუფებისათვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის სტრატეგიები;
- სამიზნე ჯგუფების ინტერესების ადვოკატირების გამოცდილება;
- გლობალური ფონდის დაავადებების (ტუბერკულოზის და შიდსი) ეპიდემიოლოგია და დაავადებების დინამიკა ქვეყანაში;
- ფინანსური დაგეგმარება და მენეჯმენტი;
- შესყიდვები და მარაგის მენეჯმენტი;
- კომუნიკაცია

ჩამოთვლილ სფეროებში ტექნიკური ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობა არ უზღუდავს ქსს-ს წევრებს საზედამხედველო კომიტეტში გაწევრიანების უფლებას, რადგანაც საზედამხედველო კომიტეტს წევრებს აქვთ წვდომა ტექნიკურ მხარდაჭერასთან და შეუძლიათ მოითხოვონ ექსპერტების დახმარება.

დ. პასუხისმგებლობები

საზედამხედველო კომიტეტის წევრებს ეკისრებათ შემდეგი პასუხისმგებლობები:

1. შესაძლებლობების ზრდა და ქსს-ს ზედამხედველობისათვის წლიური გეგმების შემუშავება
 - საზედამხედველო ფუნქციების და საზედამხედველო კომიტეტის პასუხისმგებლობების განმარტება და საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად კომიტეტის წევრების შესაძლებლობების ზრდა;
 - ქსს-ს ახალი წევრების ორიენტაცია, ტრენინგი და მოქმედი წევრების გადამზადება ქსს-ს, ძირითადი მიმღების, ქვე-კონტრაქტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების საზედამხედველო როლსა და პასუხისმგებლობებზე;
 - ქსს-ს წევრებისა და პროგრამის დაინტერესებული მხარეების ზედამხედველობაში ჩართვის მიდგომების შემუშავება;
 - წლიური საზედამხედველო გეგმის, კალენდრის და ბიუჯეტის შემუშავება
2. პროგრამის და გრანტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის შეგროვება
 - რუტინული ანგარიშების გამოყენებით ან არსებული მონაცემებიდან შერჩევის გზით პროგრამის შესრულების, ფინანსური და შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება;
 - გლობალური ფონდის გრანტებს შესახებ ინფორმაციის შეგროვება საიტ-ვიზიტების მეშვეობით ან ძირითადი მიმღების და ქვე-კონტრაქტორის შესრულების საქმიანობის მიმოხილვის შეხვედრებზე ერთობლივი მონაწილეობის გზით;
 - სპეციფიკური საკითხების შესწავლის გზით გლობალური ფონდის გრანტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

3. პროგრამის განხორციელების მწვავე საკითხების, პრობლემების და წინააღმდეგობების იდენტიფიცირება
 - ქსს-ს საყურადღებოდ პრობლემების და წინააღმდეგობების იდენტიფიცირება და დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის საყურადღებოდ ურთიერთგადამკვეთი საკითხების იდენტიფიცირება ინფორმაციის ანალიზის მეშვეობით;
 - პრობლემების, მწვავე საკითხების წინააღმდეგობების დოკუმენტირება ქსს-ს მიერ განხილვისათვის და გადაწყვეტილებების მიღებისათვის;
 - იდენტიფიცირებული მწვავე პრობლემების დაწვრილებითი ანალიზი ქსს-ს სხდომაზე წარსადგენად;

4. მიმართულების და რეკომენდაციების გამოცემა ქსს-ს მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და შემდგომი ქმედებებს განსახორციელებლად.
 - იდენტიფიცირებულ მიგნებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა და რეკომენდაციების შემოთავაზება ქსს-ს მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და შემდგომი ქმედებების განსახორციელებლად;
 - საჭიროების შემხვევაში, ქსს-სათვის დახმარების აღმოჩენა საკითხების გააზრებაში და შესაბამისი ქმედებების განსაზღვრა;
 - ქსს-ს რიგგარეშე სხდომის მოთხოვნა ურგენტული საკითხების წარმოჩინებისას.

5. მიდევნება და შედეგები შესახებ ანგარიშის წარდგენა ქსს-სთვის და პროგრამის დაინტერესებული მხარეებისათვის.
 - გადაწყვეტილებების განხორციელებაზე თვალის მიდევნება და ქმედებების რეკომენდაცია, შედეგების შესახებ ქსს-სთვის და პროგრამის დაინტერესებული მხარეებისათვის ანგარიშების წარდგენა;
 - ანგარიშის წარდგენა ქსს-სთვის და პროგრამის დაინტერესებული მხარეებისათვის პროგრესის, დარჩენილი მწვავე საკითხების და დამატებითი მიდევნების შესახებ.

ვ. საზედამხედველო კომიტეტს თავმჯდომარის პასუხისმგებლობები

ქსს ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარეს კომიტეტის წევრებიდან წევრების დანიშვნის თანავე, როდესაც ხდება ახალი წევრების დანიშვნა და როდესაც იწურება თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა.

თავმჯდომარის უფლებამოსილების მაქსიმალური პერიოდია ორი ორწლიანი ვადა.

დამატებით, სექცია 3.3-ში აღწერილი ზოგიერთი კომპეტენციებისა თავმჯდომარეს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

- შეხვედრების და აქტივობების კოორდინაცია და ფაცილიტაცია
- ქვეყნის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და ურთიერთქმედება
- კონტაქტების მოძიება და დაგეგმარება
- ანალიზი, ანგარიშგება და წარდგენა
- გლობალური ფონდის პროცესების და მოთხოვნების გააზრება

საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა გააჩნდეს სურვილი და მზაობა დაუთმოს შესაბამისი დრო და ძალისხმევა საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარეზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას: სულ მცირე თვეში 2 დღე.

ე. ტექნიკური რესურსი და გარე ექსპერტული დახმარება

საზედამხედველო კომიტეტს შეუძლია მოითხოვს გარე ექსპერტების დახმარება რეგულარულ საფუძველზე ან სპეციფიკური აქტივობებისათვის. ქსს-ს სამდივნოს აქვს გარე ექსპერტების მონაცემთა ბაზა და ეხმარება საზედამხედველო კომიტეტს, საჭიროების შემთხვევაში, შესაფერისი ექსპერტის იდენტიფიცირებაში.

ქსს ან საზედამხედველო კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას როდის მიმართოს გარე ექსპერტის დახმარებას საკითხის მასშტაბიდან და სამუშაოს მოსალოდნელი მოცულობიდან გამომდინარე. ქსს-მ და საზედამხედველო კომიტეტმა პირველ რიგში უნდა ეცადონ ისეთი ექსპერტის მოძიება, რომელიც მოხალისის სტატუსით გაწევს კონსულტირებას. ქსს-მ უნდა დაამტკიცოს ყველა გადაწყვეტილება გარე კონსულტანტის დაქირავების შესახებ პლენარულ სხდომაზე.

3 ინტერესთა კონფლიქტი

საზედამხედველო კომიტეტში შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის წარმოჩინებისათვის გამომდინარე იქიდან, რომ ქსს-ს წევრებს შორის შესაძლოა იყვნენ გლობალური ფონდის გრანტის განმახორციელებლები. ქსს-ს ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს მკაფიო პროცედურებს ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისათვის, დეკლარირებისათვის, დოკუმენტირებისათვის და მართვისათვის.

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება აღმოცენდეს მაშინ, როდესაც გრანტის მიმღებები ჩართულნი არიან საზედამხედველო პროცესში. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, საზედამხედველო კომიტეტის წევრები არ უნდა იყვნენ აფილირებული არცერთ განმახორციელებელ ორგანიზაციასთან. როგორც კი ცნობილი გახდება იმის თაობაზე, რომ ორგანიზაცია, რომელსაც ყავს წარმომადგენელი საზედამხედველო კომიტეტში ერთვება გრანტის განხორციელებაში უნდა მოხდეს ამ წევრებს ჩანაცვლება.